საიდ. №82689/03

IR 1252124

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №97-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი, ს. დუმბაძე, უ. ოშხნელი თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა რაიმონდ ო’ჰორას (Raymond O’Hora) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №97-03/16), რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 06 აპრილის N1052/03 ბრძანების ბათილად ცნობა, იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „MUSIC WORLD CUP“ (საიდ. N82689/03, IR 1252124) უარი ეთქვა საქართველოში დაცვის მინიჭებაზე მე-9 და 41-ე კლასების განცხადებული საქონლისა და მომსახურების სრული ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული ნიშნისათვის დაცვის მინიჭება საქართველოში განცხადებული საქონლისა და მომსახურების სრული ჩამონათვალის მიმართ.

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 06 აპრილის N1052/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების ოქმით საქართველოზე გასავრცელებლად წარმოდგენილი სიტყვიერი ნიშანი „Music World Cup" არ ექვემდებარება დაცვას, რადგან არ აქვს განმასხვავებლობა საქონლის მე-9 და მომსახურების 41-ე კლასებისათვის. ნიშანი შედგება ფრაზისგან „Music World Cup". „Music" ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც მუსიკა, ეს უკანასკნელი კი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ხელოვნების სახეს, რომელიც სინამდვილეს ასახავს მუსიკალური მხატვრული ფორმებით და აქტიურად ზემოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე.[1] World Cup ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც მსოფლიო თასი, რაც ნიშნავს შეჯიბრებას მრავალი ქვეყნის წარმომადგენლებს შორის. ნიშანი აღწერს საქონლისა და მომსახურების ბუნებას, განსაკუთრებით ისეთი საქონლისათვის, როგორიც არის მაგალითად ხმის ჩამწერი, გადამცემი, აღმდგენი აპარატურა მე-9 კლასში, ხოლო გართობასთან დაკავშირებული მომსახურება 41-ე კლასში. აღნიშნული საქონელი და მომსახურება პირდაპირ კავშირშია მუსიკის მსოფლიო ჩემპიონატთან. შესაბამისად, წარმოდგენილ ნიშანს არ აქვს უნარი განასხვავოს ერთი საწარმოს საქონელი/მომსახურება, მეორე საწარმოს საქონლისგან/მომსახურებისგან. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველში მე-9 და 41-ე კლასის საქონლისა და მომსახურების ნაწილში.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი რაიმონდ ო'ჰორას (Raymond O'Hora) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული სასაქონლო ნიშანი ინგლისურიდან ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც „მუსიკის მსოფლიო თასი“. შესაბამისად, გაუგებარია მე-9 და 41-ე კლასების საქონლისა და მომსახურების რა მახასიათებლების შესახებ უწევს ინფორმირებას მომხმარებელს/საზოგადოებას აღნიშნული ნიშანი. აპელანტის აზრით, ნიშანი არ მიუთითებს მე-9 და 41-ე კლასების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვლის რაიმე მახასიათებლებზე. აპელანტის მითითებით, განცხადებული ნიშანი მე-9 და 41-ე კლასების მსგავსი საქონლისა და მომსახურებისათვის რეგისტრირებულია ევროკავშირის ყველა ქვეყანაში (რეგისტრაცია 009103144), აგრეთვე ბელარუსში (ს.რ. 1252124), იაპონიაში (ს.რ. 1235330), ჰონკონგში (41-ე კლასში, რეგ. 303297934), ლიხტენშტაინში (ს.რ. 1252124), სინგაპურში (ს.რ. 1235330), თურქეთში (ს.რ. 1235330), უკრაინაში (ს.რ. 1235330), აშშ-ში (რეგ. 4.985.777), ჩინეთში (ს.რ. 1235330, უარი უთხრეს მხოლოდ 28-ე კლასს) და ასევე, მრავალ სხვა ქვეყანაში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 06 აპრილის N1052/03 ბრძანების ბათილად ცნობას, იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „MUSIC WORLD CUP“ (საიდ. N82689/03, IR 1252124) უარი ეთქვა საქართველოში დაცვის მინიჭებაზე მე-9 და 41-ე კლასების საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული ნიშნისათვის დაცვის მინიჭებას საქართველოში განცხადებული საქონლისა და მომსახურების სრული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ

რეგისტრირდება, თუ იგი „არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ“.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „MUSIC WORLD CUP“ (საიდ. N82689/03, IR 1252124) არ წარმოადგენს არაგანმასხვავებელუნარიან ნიშანს მე-9 და 41-ე კლასის საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის მიმართ. განცხადებული სასაქონლო ნიშანი ინგლისურიდან ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც „მუსიკის მსოფლიო თასი“, რომელიც მე-9 კლასის საქონლისა და 41-ე კლასის მომსახურების განცხადებული ჩამონათვლისათვის წარმოადგენს ფანტაზიურ აღნიშვნას. განცხადებული ნიშანი წარმოდგენილი სიტყვათა კომბინაციით, ისეთი საქონლისათვის როგორიცაა, ხმის ჩამწერი და ხმის გადამცემი აპარატურა, ვიდეოჩანაწრები და ა.შ. ასევე, ისეთი მომსახურებისათვის, როგორიცაა სატელევიზიო გასართობი მომსახურება, წარმოადგენს განმასხვავებელუნარიან სიმბოლოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „MUSIC WORLD CUP“ (საიდ. N82689/03, IR 1252124) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. რაიმონდ ო'ჰორას (Raymond O'Hora) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნეს ცნობილი „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ" სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 06 აპრილის N1052/03 ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „MUSIC WORLD CUP" (საიდ. N82689/03, IR 1252124) უარი ეთქვა საქართველოში დაცვის მინიჭებაზე მე-9 და 41-ე კლასების საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „MUSIC WORLD CUP" (საიდ. N82689/03, IR 1252124) მიენიჭოს დაცვა საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ს. მუჯირი
წევრები:	ს. დუმბაძე
	უ. ოშხნელი